



საჯარო სამართლის იურიდიული პირის
წამლის სააგენტოს უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA031534008796919

№ 15-1110/თ

02 / აგვისტო / 2019 წ.

სსიპ წამლის სააგენტოში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (15-05) და სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (info_dagency@moh.gov.ge) ფარმაცევტული საქმიანობის წეს(ებ)ის დარღვევის ფაქტ(ებ)ზე შემოსული ინფორმაციის/შეტყობინების მიღების და მასზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წამლის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 13 დეკემბრის N 01 – 61/ წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე – 5 მუხლის „ნ“ და „ფ“ პუნქტების შესაბამისად

ვბრძანებ:

- 1.დამტკიცდეს სსიპ წამლის სააგენტოში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (15-05) და სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (info_dagency@moh.gov.ge) ფარმაცევტული საქმიანობის წეს(ებ)ის დარღვევის ფაქტ(ებ)ზე შემოსული ინფორმაციის/შეტყობინების მიღების და მასზე რეაგირების წესი დანართი N1-ის შესაბამისად;
- 2.სსიპ წამლის სააგენტოს ინსპექტირების სამმართველომ ერთიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის/შეტყობინების დამუშავება და რეაგირება;
- 3.ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს (უფროსი ს.უმიკაშვილი);
- 4.აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ წამლის სააგენტოს ვებ-გვერდზე www.drugagency.moh.gov.ge.
- 5.ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს სააგენტოს უფროსის მოადგილეს, თ.ჭიქიას;
- 6.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ქეთევან ნიკოლიშვილი